საიდ. №75779/03

IR 1190369

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №58-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ვალეო სერვის“ (VALEO SERVICE) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №58-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 თებერვლის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №567/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CIBIÉ” (საიდ. №75779/03 IR 1190369) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 და მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის

ნაწილის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 თებერვლის №567/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი „CIBIÉ" მსგავსია კომპანიის „Valeo Vision" სახელზე მე-11 კლასის საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „CIBIÉ" (რეგ. № 1214, რეგ. თარიღი 28.11.1995). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანს აქვს იდენტური სიტყვიერი ნაწილი და მიუხედავად არსებული ვიზუალური განსხვავებისა, მათი მსგავსება იმდენად დიდია, რომ არსებობს ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა მსგავსი საქონლის მიმართ. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში მე-9 და მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ვალეო სერვის" (VALEO SERVICE) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ვალეო სერვის" (VALEO SERVICE) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ვალეო ვიჟენ" (VALEO VISION) წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, კერძოდ ორივე კომპანია წარმოადგენს კომპანიის „ გრუპ ვალეო" შვილობილ კომპანიებს. აღნიშნულის დასტურად, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ

გაცემული თანხმობის წერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 თებერვლის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №567/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CIBIÉ” (საიდ. №75779/03 IR 1190369) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 და მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ვალეო ვიჟენ“ (VALEO VISION) მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ვალეო ვიჟენ“ (VALEO VISION) თანახმაა საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „CIBIÉ” (საიდ. №75779/03 IR 1190369) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „ვალეო სერვის“ (VALEO SERVICE) სახელზე. ამავე თანხმობის წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი

კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, კერძოდ ორივე კომპანია წარმოადგენს კომპანიის „გრუპ ვალეო“ (Group VALEO) შვილობილ კომპანიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CIBIÉ" (საიდ. №75779/03 IR 1190369) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ვალეო სერვის“ (VALEO SERVICE) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 04 თებერვლის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №567/03 ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CIBIÉ" (საიდ. №75779/03 IR 1190369) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 და მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CIBIÉ” (საიდ. №75779/03 IR 1190369) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-9 და მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ლ. ახობაძე

მ. ჭიჭინაძე